

დასავლეთ საქართველოს მღვიმური - ქალკოლითური ძეგლები და მათი  
მიმართება ჩრდილო კავკასიასთან

ლაბაძე მირანდა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო  
ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაბამისად*

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ცქვიტინიძე, ასისტენტ პროფესორი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

ენეოლითური კულტურა ქვის ხანის ბოლო, ფინალური ეტაპია, ადამიანის ცხოვრებაში დიდი ცვლილებებია. ამ პერიოდის და მასში მომხდარი ცვლილებების კვლევას საქართველოში დიდი ისტორია არ აქვს, თუმცა შესწავლილია რამდენიმე ძეგლი, სადაც კარგად ჩანს ენეოლითელ ტომთა ცხოვრების ფაქტორები. ამ ფაქტობრივი მასალის შესწავლა საშუალებას მოგვცემს უფრო ახლოს გავიცნოთ ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენები.

ქვემომდებარე თემაში განხილულია ის ძეგლები და მასალები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშნებს. ადამიანის ცხოვრებაში დიდი ცვლილებებია, მონადირე-შემგროვებელი მიწათმოქმედი ხდება. განვითარების ახალ საფეხურზე ადის მეცხოველეობა, კვირისტავების დიდი რაოდენობა ძაფის დართვის ტექნიკის განვითარებაზე მიუთითებს. ამ ყველაფრის შედეგი კი ისაა, რომ ადამიანმა დამჯდარი ცხოვრება დაიწყო.

ენეოლითურ ნამოსახლარზე ჩნდება ერთი დეტალი კერა, რაც ოჯახის სიმბოლოა, ადამიანები ერთ სახლად, ოჯახად იწყებენ ცხოვრებას. თიხის გამოყენებას უფრო დიდი ყურადღება ექცევა და კერამიკის ნივთებიც ნეოლითთან შედარებით მრავალფეროვნად გამოიყურება. ყველაზე დიდი სიახლე კი ლითონის მოპოვებაა, ადამი-ანმა ის ბუნებრივ გარემოში აღმოაჩინა და მისი გამიყენება დაიწყო, ნელ-ნელა ჩნდება ლითონის ნივთები და კაჟის იარაღები აქტუალურობას კარგავენ, ყურადღება აღარ ექცევა მათ ფორმებს და დამუშავების ტექნიკას. ნეოლითის პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში მშვიდობიანი იყო, მაგრამ ენეოლითში ვითარება იცვლება დიდი რაოდენობით შუბისპირები და ისრისპირები სწორედ ენეოლითში ჩნდება და მათი დამუშავებაც შთამბეჭდავია. ამ ყველაფერმა კი მამაკაცის დაწინაურება გამოიწვია და აქამდე დამყარებული მატრიარქატი პატრიარქატმა შეცვალა და მამაკაცი წამყვანი ფიგურა გახდა ოჯახში.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** ენეოლითი, ადამიანი, მღვიმე.

## **Abstract**

Chalcolithic culture is the final stage of Stone Age, changes in human life are a lot in this era. Research of this period and alterations that happened during this time, doesn't have much history in Georgia, however several monuments has been studied that shows the living factors of Chalcolithic tribes. The study of existent materials allow us to be closer to getting to know developments in this period.

Below are materials and monuments discussed that best represent the characteristics of this time. Changes in men life are vivid. A hunter-gatherer becomes a farmer. Evolution in cattle-breeding gets into the new level, large number of kneecaps indicates to the development in thread spinning technology, and the result of all this is that people started settling down.

One detail emerges in Chalcolithic settlement – hearth which is defined as family symbol. People start living together as a family. Great attention is paid to the use of clay and pottery items look various compered to Neolith. The greatest procure of this period is metal, man discovered it in a natural environment and started using it. Metal objects slowly emerges in their life and lithic weapons lose their significance, No attention is paid to their shapes and processing techniques. Neolith was peaceful period but situation is different in Chalcolithic. A large number of spearheads and arrowheads appears exactly at this era and machining is really impressive. All this led to the advancement of man and patriarchy is reversed previously established matriarchy, man became a leading figure in the family.

**Key Words:** Chalcolithic, Human, Cave.